ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში

საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა

წინამდებარე კვლევა მომზადებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის ,,ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება სპორტში“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) მიერ.

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

2021

სარჩევი

შესავალი 3

ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში - პრობლემის აქტუალობა 4

სექსუალური შევიწროების განმარტება საერთაშორისო დოკუმენტებში 8

სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის აკრძალვა - საერთაშორისო რეგულაციები 9

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 9
ევროპის საბჭო 10
ევროკავშირი 11
ევროპარლამენტი 12
ევროკომისია 12
პოლიტიკის დოკუმენტები სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის თემაზე 13
პოლიტიკის დოკუმენტები სპორტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით 14
სპორტის პოლიტიკის დოკუმენტებში ბავშვების დაცვის საკითხი 15
საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები 15
სპორტში ბავშვების სექსუალური ძალადობისგან დაცვის ინიციატივები 18
სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენცია 20
ძალადობის პრევენციის ინიციატივები სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბებისთვის 20
სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციული ღონისძიებების სამიზნე ჯგუფები 25
სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციაზე მიმართული ინიციატივების ავტორები 25
სექსუალური შევიწროების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში 26
დასკვნა 28
რეკომენდაციები 29

შესავალი

კვლევა წარმოადგენს სპორტში ქალების შევიწროებისა და ძალადობის შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის ერთ-ერთ პირველ მცდელობას საქართველოში. კვლევის მომზადების აქტულობა ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული:

1. ბოლო წლებში საერთაშორისო დონეზე სპორტში გენდერული ძალადობის თემა აქტიურად დადგა დღის წესრიგში, გახმაურდა არაერთი ფაქტი ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით;

2. ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სტრატეგიული სამართალწარმოების პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული თემა ერთ-ერთი ყველაზე ტაბუირებულია გენდერული ძალადობის სფეროში საქართველოში და საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობისა და კვლევითი საქმიანობის დაწყება. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ეროვნულ დონეზე არ ხდება სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის რეგულირება და არ არსებობს ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის ბავშვების შემთხვევაში.

სექსუალური შევიწროება და სექსუალური ძალადობა სპორტში ფართოდ არის გავრცელებული[1]. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამის პარალელურად, ხშირად სპორტულ აქტივობებში ჩართული ადამიანები, უმეტესად კი ქალები, ხდებიან სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლები. კერძოდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სპორტში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების მსგავსად, ხშირად ხდება სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის ფაქტები[2].

კვლევის მიზანია, განსაზღვროს ის საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის საკითხზე აკეთებს აქცენტს. ასევე, საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით, განსაზღვროს ის ინიციატივები და საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც ეხება სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციასა და მასზე ეფექტურ რეაგირებას.

კვლევის დიზაინად განისაზღვრა სამაგიდე კვლევის მეთოდი. სპორტში ქალების შევიწროებისა და ძალადობის შესახებ არსებული საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის პროცესი განხორციელდა შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: რელევანტური ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საერთაშორისო კონვენციების ანალიზი, სპორტის საერთაშორისო და რეგიონული გაერთიანებების (ფედერაციები, ასოციაციები, კონფედერაციები და ა.შ.) მარეგულირებელი დოკუმენტების შეფასება, საერთაშორისო პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი. კვლევის ფარგლებში ასევე დამუშავდა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტები და აკადემიური ნაშრომები.

კვლევა მნიშვნელოვანია ქალთა შევიწროებისა და გენდერული ძალადობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის, რომელთა უშუალო ვალდებულებასაც წარმოადგენს ქალთა თანასწორობისა და გენდერული ძალადობისგან დაცვის საკითხები, ასევე სპორტული გაერთიანებების, ფედერაციების, ასოციაციებისა და კლუბების ადმინისტრაციისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, სპორტში ქალთა შევიწროებისა და გენდერული ძალადობის შესახებ არსებული საერთაშორისო რეგულაციებისა და პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის მიღება უშუალოდ სპორტსმენებისთვის.

ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში - პრობლემის აქტუალობა

[1] Margo Mountjoy et al., The IOC Consensus Statement: Harassment and Abuse (non-accidental violence) in Sport, British J. of Sports Med. 1019, 1024 (Apr. 26, 2016)

[2] Canadian Academy of Sport and Exercise Medicine Position Paper: Abuse, Harassment, and Bullying in Sport, Clin J Sport Med Volume 21, Number 5, September 2011

1960 და 1970-იან წლებში, სპორტში ძალადობა განისაზღვრებოდა როგორც მხოლოდ მაყურებლების არასასურველი ქცევა ან სპორტსმენების მხრიდან დარღვევები. ემპირიული მონაცემები სპორტში ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ გაჩნდა 1990-იანი წლებიდან, როდესაც ფემინისტმა ექსპერტებმა დაიწყეს ამ თემაზე ყურადღების გამახვილება და კვლევითი საქმიანობა.

კვლევები ადასტურებს, რომ სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში სერიოზულ უარყოფით შედეგებს იწვევს სპორტსმენების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. კერძოდ, ძალადობის სხვადასხვა ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს სპორტსმენების თამაშის ხარისხის დაქვეითება და საერთოდ სპორტიდან წასვლა. კლინიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები, აღგზნება, დეპრესია, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, თვითდაზიანება და სუიციდი არის ის სერიოზული პრობლემები, რასაც იწვევს სექსუალური ძალადობის შემთხვევები სპორტში[3]. შესაბამისი ეფექტური რეაგირების არქონა უმეტეს შემთხვევაში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლებში ქმნის განცდას, რომ ეს ასეთი ქცევა და დამოკიდებულება არის დასაშვები, სოციალურად მისაღები და მათ არ აქვთ საკმარისი ძალაუფლება, ამაზე ხმამაღლა ისაუბრონ[4].

იმ ფონზე, როდესაც გენდერული ძალადობის თემა მრავალი სოციალური თუ კულტურული ფაქტორის გათვალისწინებით, საკმაოდ დახურულია, საერთაშორისო დონეზე ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) 2002 წელს გამოაქვეყნა მონაცემები, რომ 18 წლამდე 150 მილიონ გოგოსა და 73 მილიონ ბიჭს ქონია სექსუალური ძალადობის გამოცდილება[5].

მრავალწლიანი უარყოფის შემდეგ, უმეტესმა განვითარებულმა ქვეყნებმა აღიარეს, რომ სექსუალური ძალადობა ბავშვების მიმართ სპორტში არის ის საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ერთ-ერთი პირველი ასეთი სამთავრობო ორგანო სპორტის სფეროში, რომელმაც შეაგროვა და გამოაქვეყნა მონაცემები სპორტში სექსუალურ შევიწროებაზე იყო მოყვარულ მოცურავეთა ასოციაცია (Amateur Swimming Association) დიდ ბრიტანეთში[6].

სპორტში გენდერული ძალადობა აღნიშნულ სფეროში ქალების დისკრიმინაციის დამადასტურებელია, რომლის ხელშესახებ მაგალითებსაც წარმოადგენს სექსუალური შევიწროება და ძალადობა, ასევე ქალების ნაკლები წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში[7]. სექსუალური შევიწროების მაგალითები თითქმის ყველა სპორტის სახეობაში გვხვდება და საერთაშორისო ლიტერატურა მიუთითებს სექსუალური შევიწროების არაერთ გახმაურებულ მაგალითზე. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მაგალითები ფიქსირდება მსოფლიოს ყველა კუთხეში[8].

---

[3] Canadian Academy of Sport and Exercise Medicine Position Paper: Abuse, Harassment, and Bullying in Sport, Clin J Sport Med Volume 21, Number 5, September 2011

[4] IOC Consensus Statement on Sexual Harassment and Abuse in Sport, International Olympic Committee, 2007

[5] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

[6] იქვე

[7] Final report of the Human Rights Council Advisory Committee on the possibilities of using sport and the Olympic ideal to promote human rights for all and to strengthen universal respect for them, A/HRC/30/50, 2015

[8] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

კრიკეტი, ინდოეთი: ქალი სპორტსმენების შევიწროება და სექსუალური ექსპლუატაცია , 2009 წელი. ინდოეთის კრიკეტის ქალთა გუნდის მენეჯერი ქალმა სპორტსმენებმა დაადანაშაულეს სექსუალურ შევიწროებასა და ნეპოტიზმში. ის ასევე უგზავნიდა ქალებს სექსუალური შინაარსის შეტყობინებებს.

ისრაელი: მწვრთნელი დააპატიმრეს ბავშვების მიმართ სექსუალური და ფიზიკური ძალადობის ბრალდებით. 28 წლის ინსტრუქტორის მიმართ დადასტურდა 11 ბავშვის მიმართ სექსუალური და ფიზიკური ძალადობის 13 ინციდენტი[9].

სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში უმეტესად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას უკავშირდება. ის უმეტესად მოიცავს სპორტსმენებით მანიპულაციას მწვრთნელებისა და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან. გენდერული ძალადობა სპორტში ხდება უმეტესად ისეთ ორგანიზაციულ კულტურაში, რომელიც ახალისებს ასეთ ფაქტებს შესაბამისი რეგულაციების არქონით, არსებულ შემთხვევებზე არაეფექტური რეაგირებითა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობით. სპორტში სექსუალური შევიწროება და ძალადობა ხშირად მსგავსი შემთხვევების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის გაუმართაობასთან არის დაკავშირებული და სპორტული ორგანიზაციების ეფექტური მმართველობის არარსებობას უსვამს ხაზს[10].

სპორტში სექსუალური ძალადობა, ისე როგორც სხვა სოციალურ სფეროებში, ხასიათდება გარკვეული რისკ-ფაქტორებით. მაგალითად, ასაკი შესაძლებელია განხილული იყოს როგორც ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი. სპორტში სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები უმეტესად იდენტიფიცირებულები არიან როგორც ავტორიტეტული ფიგურები, განსაკუთრებით მწვრთნელები, მაგრამ ასევე გუნდის ექიმები, ფსიქოთერაპევტები[11].

სპორტში სექსუალური ძალადობის თემაზე ჩატარებული კვლევების უმეტესობა ხაზს უსვამს, რომ სექსუალური ძალადობა სპორტში უმეტესად ხორციელდება კაცი მწვრთნელების მიერ და მსხვერპლი უმეტესად არის პატარა ასაკის ქალი სპორტსმენი[12]. სპორტში გენდერული ძალადობის თემაზე გამოქვეყნებული კიდევ ერთი კვლევა საუბრობს რისკ-ფაქტორების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქალი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში არიან უფრო მეტად მოწყვლადები სექსუალური შევიწროების მიმართ, ვიდრე ქალები, რომლებიც თამაშობენ უფრო დაბალ საფეხურებზე. უამრავ გაზრდილ რისკს შორის, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე წამყვანი ფაქტორი: სპორტსმენები არიან ახალგაზრდები, წარმატებული სპორტსმენები უფრო მეტ დროს ატარებენ

[9] იქვე

[10] იქვე

[11] ექიმის მხრიდან სექსუალური შევიწროების თემაზე მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის პრაქტიკა, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ინფორმირებას სექსუალური შევიწროების შესახებ და ასევე აღნიშნულ სფეროში სექსუალური შევიწროების რეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებს. კერძოდ, საქმე ეხება 2020 წელს ექიმის მხრიდან კარანტინში მყოფი ქალის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტი დადგენას-საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

[12] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

მწვრთნელებთან, ექიმებთან და ა.შ., ოლიმპიური თამაშები ზოგადად უფრო კაცებით დომინანტურია და არსებობს დიდი გენდერული დისბალანსი[13].

კიდევ ერთი კვლევა საუბრობს ოლიმპიური თამაშების დროს ისეთი გარემოს არსებობაზე, რომელიც წარმატებული ქალი სპორტსმენების შემთხვევაში წარმოადგენს გაზრდილ რისკს, გახდენენ სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლები. 1982-2017 წლებში, 300-მდე მწვრთნელი 15 სხვადასხვა ოლიმპიური თამაშიდან საჯაროდ იქნა მხილებული სექსუალურ ძალადობაში. 2017-2019 წლებში 600-ზე მეტი ადამიანს ამერიკის ოლიმპიური ორგანიზაციებიდან აქვს სამუდამო სანქცია ფიზიკურ, ემოციური და სექსუალური ხასიათის არასასურველი ქცევების გამო[14].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სპორტში სექსუალური ძალადობის შესახებ კვლევებს ეხება, არის ის, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო არ არის საკმარისი მონაცემები ამ თემაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებს. დანიაში ჩატარებულმა ერთ-ერთი კვლევამ, რომელიც ჩატარდა 18 წლამდე 250 სპორტსმენთან გამოავლინა, რომ 25%-ს სმენია სხვაზე ან ჰქონია გამოცდილება მწვრთნელის მიერ სექსუალური შევიწროების. კანადაში ჩატარებული კვლევის მიხედვით 3.2%-ს 16 წლამდე ბავშვს ჰქონია და აწუხებს სპორტის კონტექსტში გენიტალიების ჩვენება და 2.6%-ს საუბრობს არასასურველი სექსუალური შეხების გამოცდილების შესახებ. გამოუქვეყნებელი მონაცემები ავსტრალიიდან საუბრობს სპორტში ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობაზე, რომელიც 8 %-ის ფარგლებში მერყეობს[15].

ხშირად გახმაურებული შემთხვევები ხდება ხოლმე ეროვნულ დონეზე სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ერთიანი პოლიტიკისა და საკანონმდებლო რეგულირების დაწყების საფუძველი. მაგალითად, ამერიკის კონგრესმა 2018 წელს მიიღო კანონი, რომელიც ეხება სპორტში სექსუალური ძალადობის მსხვერპლების დაცვას. ნასარის სკანდალის შემდეგ[16], ამერიკის კონგრესმენების უმეტესობა მიხვდა, რომ საჭირო იყო სპეციალური კანონი, რომელიც დაიცავდა სპორტსმენებს სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან. აღნიშნული კანონის თანახმად, ყველა ვინც მონაწილეობს რაიმე ფორმით სპორტულ აქტივობებში ან დაკავშირებულია მასთან, ვალდებულია გააკეთოს შეტყობინება ნებისმიერი სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის ინციდენტის შესახებ 24 საათის განმავლობაში. პირი, რომელიც აღნიშნული კანონის შესაბამისად არ გააკეთებს შეტყობინებას შესაძლებელია დაეკისროს ჯარიმა ან/და თავისუფლების აღკვეთა. დამატებით, კანონი ითვალისწინებს მსხვერპლებისათვის კომპენსაციას 150000 დოლარის ფარგლებში[17].

---

[13] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

[14] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

[15] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

[16] ნასარი იყო ექიმი, რომელიც მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანმოვარჯიშეებთან. ის ასევე მუშაობდა მიჩიგანის უნივერსიტეტში სპორტსმენებთან. აღნიშნულ პოზიციებზე მუშაობის დროს ის სამი ათწლეულის განმავლობაში ახორციელებდა სექსუალურ ძალადობას სპორტსმენების მიმართ - Emma Winowiecki, Kay Lafond, Mark Brush & Kate Wells, Timeline: A Long History of Abuse by Dr. Larry Nassar, Mich. Radio (Jan. 24, 2018)

[17] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

სექსუალური შევიწროების განმარტება საერთაშორისო დოკუმენტებში

სპორტის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებში, ასევე ქალთა უფლებების დაცვაზე მიმართულ კონვენციებსა თუ ანგარიშებში სექსუალური შევიწროების განსხვავებული განმარტებები გვხვდება. თუმცა, ყველა მათგანისათვის საერთოა იმ დამაზიანებელ გავლენებზე საუბარი, რომელსაც იწვევს სექსუალური შევიწროება, ასევე მითითება სხვადასხვა ქმედებებზე, რომელიც დამახასიათებელია სექსუალური შევიწროებისათვის.

სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის თემაზე მომზადებულ კვლევებში სხვადასხვა ტერმინოლოგიაა გამოყენებული, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, სექსუალური ვიქტიმიზაცია, სექსუალური შევიწროება ან არასასურველი სექსუალური გამოცდილება. ამის მიუხედავად, სექსუალური ძალადობა, მაგალითად, ბავშვების წინააღმდეგ ზოგადად განიმარტება როგორც ნებისმიერი ხასიათის სექსუალური ძალადობა, რომელშიც ინფორმირებული თანხმობა არ ხდება ან შეუძლებელია მისი მიღება. სექსუალური ძალადობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კონტაქტური, ისე არაკონტაქტური გზით. ძირითადი შინაარსის თანხვედრის მიუხედავად, არ არის ერთიანი შეთანხმებული განმარტება საერთაშორისო დონეზე სექსუალური ძალადობის შესახებ. ის ძირითადად მოიცავს სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის ფართო სპექტრს, მათ შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩათვლით, მათ შორის ბავშვის გაუპატიურებას ან სხვა სახით პენეტრაციას, სექსუალურ შევიწროებას, პორნოგრაფიული ნაწარმოების ჩვენებას და ა.შ[18].

ევროპარლამენტის დირექტივის მიხედვით, სექსუალური შევიწროება არის ნებისმიერი ფორმის სექსუალური შინაარსის არასასურველი ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური კონტაქტი, რომლის მიზანია ან შედეგი პირის ღირსების შელახვა მისთვის საშიში, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნით[19].

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სექსუალურ შევიწროებად განმარტავს ქცევას, რომელსაც შეიძლება ძალიან ცუდი და არასასურველი შედეგი ჰქონდეს ადამიანზე. სექსუალური შევიწროება შეიძლება მოიცავდეს შეხებას, შენიშვნებს, მზერას, დამოკიდებულებებს, ხუმრობებს ან სექსუალური შინაარსის სიტყვების გამოყენებას, კომენტარებს პირის პირად ცხოვრებაზე, მინიშნებებს პირის სექსუალურ ორიენტაციაზე, შენიშვნებს ჩაცმასა და სხეულზე. ამასთან, მნიშვნელოვანია აღნიშნული განმარტების მითითება ინციდენტების რაოდენობასთან მიმართებით. კერძოდ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მიიჩნევს რომ ერთი შემთხვევაც საკმარისია რომ ვისაუბროთ სექსუალურ შევიწროებაზე. თუმცა, ასევე უთითებს, რომ უმეტესად სპორტში სექსუალური შევიწროება განმეორებად ქცევას მოიცავს[20].

სექსუალური შევიწროების ფორმები შეიძლება იყოს ფიზიკური (არასასურველი ფიზიკური კონტაქტი), ვერბალური (განმეორებადი სექსუალური შინაარსის კომენტარები), ჟესტები (მაგალითად, განმეორებადი სექსუალური შინაარსის ჟესტები პირის სხეულზე), წერილობითი, იძულებითი (მაგალითად, სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა, თუ არ დაკმაყოფილდება სექსუალური შინაარსის სურვილები), მტრული გარემოს შექმნა (პორნოგრაფიული მასალის ჩვენება. სექსუალური შევიწროება

[18] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

[19] Directive 2002/73/EC of the European Parliament and of the Council (42) of 23 September 2002 amending Council Directive 76/207/EEC

[20] Workplace Violence and Harassment: A European Picture, European Agency for Safety and Health at Work, 2010

ყოველთვის არის ერთი მხარის სურვილი და არასასურველი მეორესთვის. ერთჯერადი ინციდენტიც შეიძლება განხილული იყოს როგორც სექსუალური შევიწროება თუმცა ის ხშირად მოიცავს განმეორებით, არასასურველ ქმედებას[21].

სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის აკრძალვა - საერთაშორისო რეგულაციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) 1978 წელს მიიღო საერთაშორისო ქარტია ფიზიკური აღზრდისა, ფიზიკური აქტივობის და სპორტის შესახებ. ქარტია იყო პირველი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული დოკუმენტი, რომელმაც აღიარა ფიზიკური აღზრდა და სპორტი როგორც ფუნდამენტური უფლება ყველასთვის[22]. 2015 წელს ქარტიის გადასინჯვის შემდეგ კი მოხდა იმის აღიარება, რომ სპორტი თამაშობს გადამწყვეტ როლს გენდერული ძალადობის პრევენციაში (მუხლი 9). ამასთან, ამ მნიშვნელობის პარალელურად ქარტია ასევე მიუთითებს, რომ ფიზიკურ აღზრდა, ფიზიკური და სპორტული აქტივობები ამ პროცესში ჩართული ყველა პირის მიერ ისე უნდა განხორციელდეს, რომ შემცირდეს ნებისმიერი სახის დამაზიანებელი პრაქტიკა, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისათვის, როგორებიც არიან: ბავშვები, ახალგაზრდები, ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ. დამაზიანებელი პრაქტიკა მოიცავს დისკრიმინაციას, რასიზმს, ჰომოფობიას, ბულინგს, მანიპულაციას, ჩამოშორებას სპორტული აქტივობებიდან, დამატებითი ვარჯიშის დავალდებულებას ბავშვებისათვის, სექსუალურ ექსპლუატაციას, ძალადობასა და ა.შ. (მუხლი 9)[23]. 2015 წელს განხორციელებული ცვლილებები, სხვა მნიშვნელოვან ზოგად თემებთან ერთად შეეხებოდა ქალთა თანასწორობასა და სპორტში ქალებისა და გოგოების საჭიროებების გათვალისწინებას, ინკლუზიის მნიშვნელობას, ადაპტირებული და უსაფრთხო გარემოს შექმნას განსაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვებისათვის, ქალებისა და გოგოებისთვის და ა.შ.[24]

მეორე მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ქალთა თანასწორობას უსვამს ხაზს ცხოვრების ყველა სფეროში, წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (1979). კონვენცია განსაზღვრავს, რას წარმოადგენს დისკრიმინაცია ქალების მიმართ და აწესებს სახელმწიფოებისთვის ვალდებულებებს, როგორ ებრძოლონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას[25].

1995 წელს მიღებულ იქნა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, რომლის მეოთხე თავი ქალთა მიმართ ძალადობის აკრძალვას ეხება. დეკლარაცია სახელმწიფოებისა და ყველა სხვა მხარის ვალდებულებად განიხილავს ძალადობის პრევენციის, მისგან

---

[21] იქვე

[22] United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) (1978). International Charter of Physical Education, physical activity and sport.

[23] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[24] Final report of the Human Rights Council Advisory Committee on the possibilities of using sport and the Olympic ideal to promote human rights for all and to strengthen universal respect for them, A/HRC/30/50, 2015

[25] United Nations (UN) (1979). Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women.

დაცვისა და მასზე რეაგირების ეფექტური ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, ის მოითხოვს განვითარდეს ჰოლისტური და მულტიდისციპლინური მიდგომა, რათა საზოგადოება და ცხოვრების ყველა სფერო თავისუფალი იყოს ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან. ამისთვის საჭიროა შეიქმნას პოლიტიკის დოკუმენტები და პროგრამები, რომელშიც მოხდება გენდერული მეინსტრიმინგი, მათ შორის სპორტში და სანამ რაიმე გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ის დაავალდებულებს მხარეს გაანალიზოს მისი გავლენა ქალებსა და კაცებზე[26].

გაეროს საერთაშორისო დოკუმენტებიდან, რომელიც სპორტში ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნასთან მიმართებით არსებითად მნიშვნელოვანია, უნდა გამოიყოს ბავშვის უფლებათა კონვენცია. კონვენციის მე-19 მუხლი სახელმწიფოს ვალდებულებად განსაზღვრავს ყველა საჭირო და შესაბამისი ღონისძიების გატარებას (საგანმანათლებლო, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური), რათა დაცული იყვნენ ბავშვები ნებისმიერი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის, დაზიანებისა თუ შეურაცხყოფისაგან, უგულებელყოფისგან, არასათანადო მოპყრობისა და ექსპლუატაციისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგან.

2013 წელს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე, მიღებულ იქნა ბერლინის დეკლარაცია. დეკლარაცია აღიარებს, რომ ინკლუზიური გარემო, რომელიც თავისუფალია ძალადობისა და სექსუალური შევიწროებისაგან, არის არსებითი წინაპირობა სპორტში ხარისხის მისაღწევად. შესაბამისად, ყველა ასეთი ფორმა სპორტში გამოვლენილი და აღმოფხვრილი უნდა იყოს[27].

ევროპის საბჭო

1992 წელს ევროპის საბჭომ მიიღო ევროპის სპორტის ქარტია (R(92)13)[28]. ქარტიის პირველი მუხლი საუბრობს სპორტის მორალურ და ეთიკურ საფუძვლებზე, ადამიანის თავისუფლებაზე და სპორტში ჩართული ყველა პირის უსაფრთხოებაზე, სპორტში, ქალებისა და კაცების ნებისმიერი სახის პოლიტიკური, კომერციული და ფინანსური ექსპლუატაციისგან დაცვაზე, ასევე ძალადობრივი და დამამცირებელი პრაქტიკისგან დაცვაზე, მათ შორის, სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან, განსაკუთრებით ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალების შემთხვევაში.

ევროპის სპორტის ქარტიის პარალელურად შეიქმნა ეთიკის კოდექსი სპორტში[29]. კოდექსი საუბრობს ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალების სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შესახებ და აღიარებს სპორტული ორგანიზაციების განსაკუთრებულ როლს დაიცვან ახალგაზრდები და ქალები სექსუალური შევიწროების, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან.

2000 წელს ევროპის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სპორტში ქალების, ახალგაზრდებისა და ბავშვების სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან დაცვასა და მის პრევენციას (3/2000)[30]. რეზოლუცია საუბრობს ქმედებათა ფართო

---

[26] United Nations (UN) (1995). Beijing Declaration and Platform for Action.

[27] United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) (2013). Declaration of Berlin

[28] 2 Council of Europe (1992). European Sports Charter.

[29] 3 Council of Europe (1992). Code of Sports Ethics.

[30] 4 Council of Europe (2000). Resolution on the prevention of sexual harassment and abuse of women, young people and children in sport.

სპექტრზე, რომელიც უნდა გაატარონ ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა. ეს ღონისძიებები მოიცავს: კვლევითი საქმიანობის დაწყებასა და მონაცემების შეგროვებას ეროვნულ დონეზე, რათა შეფასდეს ინდივიდუალური ქვეყნის დონეზე სპორტში სექსუალური შევიწროების მასშტაბი, რომელიც დაეხმარებათ სახელმწიფოებს შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში.

ბავშვების სექსუალური შევიწროებისა და ნებისმიერი სექსუალური ძალადობის ფორმისგან დაცვის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლანზაროტას კონვენცია, რომელიც ევროპის საბჭომ მიიღო და ძალაში შევიდა 2010 წელს[31]. კონვენცია უშუალოდ ბავშვების სექსუალური ძალადობისგან დაცვისთვის საჭირო საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებების შექმნაზე საუბრობს. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია აღნიშნული კონვენციის პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინება სპორტში ბავშვების, განსაკუთრებით კი გოგოების სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან დაცვის მიზნით[32].

2011 წელს ევროპის საბჭომ მიიღონ კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია)[33], რომელიც 2014 წელს შევიდა ძალაში. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ქალების ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვის მიმართულებით. კონვენციით განსაზღვრული მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება ასევე გოგოებზე.

სპორტში ქალების თანასწორობის უზრუნველყოფისა და ძალადობის ხშირი შემთხვევებიდან გამომდინარე, 2015 წელს ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია სპორტში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ (2015)2)[34]. რეკომენდაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შექმნან და მონიტორინგი გაუწიონ სპეციალურ პროგრამებს, რათა ებრძოლონ გენდერულ ძალადობას სპორტში (მუხლი 15 და 16) და გაზარდონ ცნობადობა აღნიშნული თემის შესახებ (მუხლი 27), მიიღონ კოდექსები და პროცედურები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს გასაჩივრების პროცედურებსა და დისციპლინურ ღონისძიებებს (მუხლი 33)[35].

ევროკავშირი

2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების[36] ძალაში შესვლით პირველად გაჩნდა სპორტის თემა ევროკავშირის საქმიანობაში. იქამდე, ევროკავშირის ოფიციალურ პოლიტიკის დოკუმენტებში არაფერი იყო ნახსენები სპორტის თემაზე. აღნიშნული პროცესის პრიორიტეტულობა გამომდინარეობდა იქედან, რომ სპორტს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი პოტენციალიდან გამომდინარე, რომელიც აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე, დასაქმებაზე, ახალგაზრდების ცხოვრებასა და კულტურაზე. ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირის მიზანია სპორტში ევროპული ღირებულებების დამკვიდრება სამართლიანობისა და ღიაობის პრინციპების

[31] Council of Europe (2007). Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse.
[32] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016
[33] Council of Europe (2011). Convention on preventing and combatting violence against women and domestic violence.
[34] Council of Europe (2015). Recommendations on gender mainstreaming in sport.
[35] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016
[36] European Union (2007). Treaty of Lisbon

უზრუნველყოფით, როგორც ქალი, ისე კაცის სპორტსმენების ფიზიკური და მორალური მთლიანობის შენარჩუნებით. ხელშეკრულება ამ მხრივ ცალკე გამოყოფს ახალგაზრდების საკითხს და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს (მუხლი 165). მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში არ გვხვდება კონკრეტული მითითება გენდერული ძალადობის თემაზე სპორტში, ხელშეკრულებაში გაჩენილი ჩანაწერი ქალი და კაცი სპორტსმენების ერთიანობის შენარჩუნებაზე, წარმოადგენდა მნიშვნელოვან განაცხადს სპორტში ისტორიულად და მიმდინარედ არსებული პრობლემებზე, როგორიც იყო გენდერული ძალადობა[37].

ევროპარლამენტი

2003 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქალები სპორტში (2002/2280(INI)[38]. დოკუმენტში პირდაპირ არის საუბარი სპორტის სფეროში არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერული პერსპექტივის გაჩენის მნიშვნელობაზე. რეზოლუციის 33-ე მუხლი საუბრობს სპორტსმენი ქალების შესაძლებლობაზე ეფექტურად ისარგებლონ საკუთარი სპორტული, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით და დაიწყონ დავა სასამართლოში დისკრიმინაციისა და შევიწროების შემთხვევებზე. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებსა და სპორტულ ფედერაციებს ეფექტური მექანიზმების შექმნისკენ, რათა წარმატებულად ებრძოლონ სპორტში სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობას (მუხლი 40).

2008 წელს ევროპარლამენტმა მიიღო სპეციალური დოკუმენტი სპორტთან დაკავშირებით (White Paper on Sport[39]). დოკუმენტი საუბრობს მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც ეროვნულ და ევროპის დონეზე ლიცენზიის სისტემის შემოღებას ითვალისწინებს კლუბებისთვის, რომელთა რეგულაციები მოიცავს ძალადობის პრევენციის, უმცირესობების დაცვისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას (მუხლი 69).

2011 წელს ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღეს დირექტივა (2011/92/EU) ბავშვთა მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ[40]. 2007 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის კონვენციასთან (ლანზაროტას კონვენცია) ერთად აღნიშნული დირექტივა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებს სპორტში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროკომისია

2007 წელს ევროკომისიამ მიიღო სპეციალური დოკუმენტი სპორტთან დაკავშირებით (White Paper on Sport)[41]. დოკუმენტი მიზნად ისახავს სპორტში უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფების მიმართ განხორციელებულ სექსუალური ძალადობასა და შევიწროებასთან ბრძოლას. 2009 წელს ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტომ გამოქვეყნა დოკუმენტი ,,ჰომოფობია და დისკრიმინაცია სექსუალურ

[37] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[38] The European Parliament (2002). Resolution on Women and Sport

[39] The European Parliament (2008). White Paper on Sport

[40] The European Parliament (2011). Directive on combatting the sexual abuse and sexual exploitation of children and child pornography

[41] The European Commission (2007). White Paper on Sport

ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე საფუძველზე ევროკავშირის ქვეყნებში[42]". ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჰომოფობია სპორტში მწვავე პრობლემაა და ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ჰომოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენებით მოწინააღმდეგეებისა და მსაჯების მიმართ. 2011 წელს ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე ევროკომისიამ სპორტის მარეგულირებელი პოლიტიკის შემდგომი განვითარებისათვის დაიწყო სამუშაოები. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში[43] მოხდა იმის აღიარება, რომ სპორტსმენები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები არიან სპორტში ძალადობისგან დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობის წინაშე.

2014 წელს ევროკომისიის ექსპერტების ჯგუფმა სპორტში გენდერული თანასწორობის საკითხებში, შეიმუშავეს სტრატეგიული დოკუმენტი სპორტში გენდერული თანასწორობის საკითხზე[44]. სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც 2014-2020 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს მოიცავდა, აქცენტს აკეთებდა სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. სტრატეგიით მოხდა ხაზგასმა ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შექმნის აუცილებლობაზე.

2016 წელს კარგი მმართველობის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ინსტრუქციები და რეკომენდაციები სპორტში გენდერული თანასწორობის მისაღწევად[45]. სპორტში გენდერული ძალადობის თემაზე, დოკუმენტი მოიცავდა ექვს მინიმალურ სტანდარტს:

1. განხორციელდეს სპორტში გენდერული ძალადობის მონიტორინგი შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით;
2. მხარდაჭერილი იყოს ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის ღონისძიებები;
3. მხარდაჭერილი იყოს საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამები სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციისთვის, ყველა მწვრთნელის საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს გენდერული ძალადობის საკითხები;
4. შემუშავდეს სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები, პროცედურები;
5. მხარდაჭერილი იყოს კვლევითი საქმიანობა სპორტში გენდერული ძალადობის თემაზე;
6. განვითარდეს სისტემა, რომელიც მოახდენს როგორც ანაზღაურებად, ისე მოხალისეობრივ სამუშაოზე შესაფერისი ადამიანების რეგისტრაციას/აღრიცხვას პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესაბამისად, განსაკუთრებით როცა ისინი მუშაობენ ბავშვებთან.

პოლიტიკის დოკუმენტები სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის თემაზე

[42] The European Union Agency for Fundamental Rights (2009). Homophobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity in the EU Member States: Part II – The Social Situation.

[43] The European Commission (2011). Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Developing the European Dimension in Sport

[44] The European Commission (2014). Gender Equality in Sport. Proposal for Strategic Actions 2014-2020.

[45] The European Commission (2016). Recommendations on Gender Equality in Sport.

პოლიტიკის დოკუმენტები სპორტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

სპორტში გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიული მუშაობის შესახებ 2014-2020 ევროკომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, რეკომენდებულია სახელმწიფოებს ჰქონდეთ ეროვნული სტრატეგია სპორტში გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით. სტრატეგიის აღნიშნული რეკომენდაცია 2016 წლისთვის შეასრულა ავსტრიამ. 2015 წლიდან ავსტრიის ფედერაციის სპორტისა და თავდაცვის სამინისტრომ შექმნა სამუშაო ჯგუფი სპორტული ორგანიზაციების, მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით და მოამზადა სპორტში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის ოთხ მთავარ პრიორიტეტს შორის, ერთ-ერთს სწორედ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. აღნიშნული სამოქმედო გეგმა გამოირჩევა თავისი ჰოლისტური მიდგომით, ის აერთიანებს როგორც გენდერული ძალადობას სპორტში, ისე ზოგადად სპორტში გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხებს. გეგმით დასახული მიზნების მიღწევის საშუალებად განისაზღვრა:

- მწვრთნელების, სპორტსმენების, მოხალისეების გადამზადება;
- მსხვერპლებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- სპორტულ და მსხვერპლთა მხარდამჭერ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
- კვლევით საქმიანობების წახალისება სპორტში გენდერული თანასწორობის თემაზე;
- პროგრესის მონიტორინგი და სკრინინგის სისტემის შექმნა როგორც ანაზღაურებადი, ისე მოხალისე მწვრთნელებისათვის[46].

პოლიტიკის დოკუმენტებს შორის, რომლებიც პირდაპირ საუბრობენ გენდერული ძალადობისა და გენდერული თანასწორობის თემაზე სპორტში, შეიძლება გამოიყოს სამი ქვეყნის მაგალითი: ბელგია, ხორვატია და ჩეხეთის რესპუბლიკა. აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკის დოკუმენტები პირდაპირ აკეთებენ აქცენტს სპეციალურ ღონისძიებებზე სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. მაშინ როცა ბელგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ (2015-2019) საუბრობს ზოგად ვალდებულებებზე სპორტში გენდერული ძალადობის თემაზე, ხორვატიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის შემთხვევაში უფრო დაკონკრეტებულია სპეციალური ღონისძიებები[47].

სპორტში გენდერული ძალადობის თემაზე მნიშვნელოვანი აქცენტები აქვთ გაკეთებული პოლონეთისა და სლოვენიის ქვეყნებს. პოლონეთის სპორტის სამთავრობო პროგრამა (2015-2020) ყურადღებას ამახვილებს ძალადობის მსხვერპლ ქალებზე, ასევე სპორტში ჰომოფობიაზე. სლოვენიის ეროვნული სპორტის პროგრამა აღიარებს, რომ სპორტსმენების მიმართ არაჰუმანური მოპყრობა, როგორიცაა სექსუალური ექსპლუატაცია, შეიძლება განხორციელდეს სპორტის კონტექსტში. ამასთან სლოვენიაში დაფუძნდა სპორტსმენების ომბუდსმენის ინსტიტუტი სლოვენიის ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით. მიუხედავად იმისა, რომ ომბუდსმენის მომსახურება არ არის ისე შექმნილი, რომ პირდაპირ

[46] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016
[47] იქვე

მიემართებოდეს გენდერულ ძალადობას სპორტში, ის შეიძლება მაინც იყოს დამხმარე მსგავსი შემთხვევების მედიაციის პროცესში.

სპორტის პოლიტიკის დოკუმენტებში ბავშვების დაცვის საკითხი

კვიპროსის, რუმინეთისა და გაერთანებული სამეფოს ბავშვთა დაცვის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები პირდაპირ მიუთითებენ სპორტზე, როგორც ადგილზე სადაც შესაძლებელია განხორციელდეს სექსუალური ძალადობა. კვიპროსის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბავშვთა მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ, მოიცავს სპეციალურ პრევენციულ და ინტერვენციულ აქტივობებს სპორტის სფეროს წარმომადგენლებისთვის. მაგალითად, მასში განხილულია სახელმძღვანელოს მომზადება რისკის შემცველი შემთხვევების გამოვლენისა და შეტყობინების შესახებ, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს უფროსებისთვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან სპორტში და ა.შ[48].

ბელგიის სპორტის პოლიტიკის დოკუმენტებში უფრო მეტი აქცენტი არის გაკეთებული ბავშვების დაცვის თემაზე, ხოლო გენდერული ძალადობის საკითხი ასახულია ეთიკის კოდექსში. ირლანდიაში ეთიკის კოდექსი პირდაპირ მიუთითებს ბავშვების სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობის თემებზე[49].

საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 1894 წელს შეიქმნა და მხოლოდ 1995 წელს ჩამოყალიბდა კომიტეტის ფარგლებში კომისია ქალებსა და სპორტზე. კომისია შეიქმნა რათა ებრძოლა დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ და ასევე ხელი შეეწყო სპორტში ქალების მონაწილეობისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ღონისძიებები, კონფერენციები და ოფიციალური შეხვედრები.

ცოტა მოგვიანებით, 2007 წელს მოხდა სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შეთანხმებული განცხადების გამოქვეყნება[50], რომელიც მიზნად ისახავდა სპორტში უსაფრთხო გარემოს შექმნას როგორც კაცების, ისე ქალებისათვის. შეთანხმებული განცხადების მიხედვით, სექსუალური შევიწროება ხდება ყველა სპორტში და ყველა საფეხურზე. ის ასევე მიუთითებს, რომ კაცები უფრო ხშირად არიან მოძალადეები, ვიდრე ქალები და სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობას სერიოზული უარყოფითი გავლენა აქვს კვლევების მიხედვით სპორტსმენების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. შეთანხმებული განცხადება მოიცავდა კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხება სპორტული ორგანიზაციების მიერ საგანმანათლებლო ინიციატივების შექმნასა და პარტნიორობის განვითარების მნიშვნელობას სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღდეგ საბრძოლველად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობას შორის ცალკე უნდა გამოიყოს ეთიკის კომისიის მიერ შემუშავებული ეთიკური პრინციპები, რომელიც ცნობილია როგორც ოლიმპიური ეთიკის კოდექსი. კოდექსის 1.4. მუხლი აცხადებს, რომ

---

[48] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[49] იქვე

[50] Consensus Statement on Sexual Harassment and Abuse in Sport, International Olympic Committee (2007)

დაუშვებელია ყველა ფორმის შევიწროება და ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური, პროფესიული თუ სექსუალური, რომელიც იწვევს ნებისმიერი ფორმის ფიზიკურ და ფსიქიკურ დაზიანებას. კოდექსი ასევე მოიცავს საბაზისო მითითებებს, როგორ უნდა მოხდეს ძალადობისა და სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირება. სანქციებს შორის, რომელსაც ითვალისწინებს ეთიკის კოდექსის დარღვევა, არის ოლიმპიური კომიტეტის ეთიკის კომისიის გაფრთხილება, ხოლო სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, შემთხვევა შესაძლებელია გაიგზავნოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ გამგეობაში შესაძლო სანქციების განსაზღვრის მიზნით[51].

ოლიმპიური კომიტეტის ეთიკის კომისია შეიქმნა 1999 წელს იმ მიზნით, რომ მოეხდინა ეთიკური პრინციპების პრაქტიკაში აღსრულების ხელშეწყობა. კომისიის პასუხისმგებლობაში შედის საჩივრების განხილვა და ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის სანქციების განსაზღვრა. იმ შემთხვევაში თუ ეთიკის კომისია საჭიროდ ჩათვლის, რომ საჩივრის განხილვისათვის საჭიროა მეტი ინფორმაცია, ის ავტომატურად იწყებს კონფიდენციალურ გამოძიებას. ამის შემდეგ ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აგზავნის ანგარიშს ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ გამგეობაში. აღმასრულებელი გამგეობა ამის შემდეგ განსაზღვრავს სანქციას ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად[52].

ოლიმპიურმა კომიტეტის ფარგლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი არსებობს - არბიტრაჟი სპორტში (CAS), რომელიც 1984 წელს შეიქმნა საერთაშორისო სპორტთან დაკავშირებული დავების გადაჭრის მიზნით. ოლიმპიური კომიტეტი და ყველა საერთაშორისო ფედერაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ეროვნული ფედერაციები აღიარებენ CAS-ის იურისდიქციას. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში წელიწადში 300-მდე შემთხვევის განხილვა ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ CAS-ი არ არის საგამოძიებო ორგანო, არამედ მედიაციას უწევს პროცესებს[53].

2014 წელს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ცვლილება შეიტანა ოლიმპიურ ქარტიაში და დისკრიმინაციის ნიშნებს დაამატა სექსუალური ორიენტაციის ნიშანი. ქარტია დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ცენტრალურ როლს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს ანიჭებს[54].

2008 წელს საერთაშორისო პარაოლიმპიურმა კომიტეტმა შეიმუშავა სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შესახებ განცხადება[55]. ის შეიცავს სექსუალური შევიწროების და ძალადობის შესახებ ზოგად პრინციპებს, სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მაგალითებს და რეკომენდაციებს როგორ მოხდეს მსგავს შემთხვევებზე რეაგირება.

ევროკავშირის ქვეყნებში, ეროვნულ დონეზე სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დონეზე ხორციელდება. ოლიმპიური ქარტია ძალიან მკაფიო მითითებას აკეთებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ვალდებულების შესახებ, მიიღონ ეფექტური

---

[51] IOC Code of Ethics, Int'l Olympic Comm. 4 (2018)

[52] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

[53] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

[54] 3 International Olympic Committee (2015). The Olympic Charter

[55] International Paralympic Committee (2008). Chapter 4.2 - Position Statement on Sexual Harassment and Abuse in Sport.

ზომები სპორტში დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვანი პრაქტიკა ჩამოყალიბდა.

სლოვენიის ოლიმპიური კომიტეტი უფლებას აძლევს კომიტეტს ლიცენზია ჩამოართვას პროფესიონალს, რომელიც არღვევს მის ეთიკურ პრინციპებსა და ღირებულებებს, მათ შორის თუ ის დადანაშაულებული იქნება გენდერული ძალადობის ჩადენაში. სხვა ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები უფრო შორს წავიდნენ და უფრო კონკრეტული ნაბიჯები განსაზღვრეს გენდერული ძალადობის პრევენციისთვის და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხორვატიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, მაგალითად, შექმნა გენდერული თანასწორობის კომისია სპორტში, რომელიც მუშაობს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შექმნაში, აწყობს კონფერენციებსა და ტრენინგებს აღნიშნულ თემაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სპორტსმენებს შეუძლიათ მიმართონ კომისიას გამოძიების დაწყების მოთხოვნით და კომისია მათ აძლევს შესაბამის რჩევებს და უწევს მხარდაჭერას[56].

ჩეხეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა შექმნა ქალების კომისია და მხარს უჭერს კვლევით საქმიანობას სექსუალური შევიწროების თემაზე სპორტში. კომისიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი სპორტში სექსუალური შევიწროების თემაზე, რომელიც გაეგზავნა ყველა სპორტულ სკოლასა და კლუბს. აღნიშნულმა ორგანომ ასევე შექმნა საგანმანათლებლო კურსი მწვრთნელებისათვის[57].

მსგავსი აქტივობები განახორციელა გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც დაიწყო კამპანია სახელწოდებით ,,ძლიერი ქსელი ძალადობის წინააღმდეგ". კამპანია სთავაზობს კურსებს და ტრენინგებს ქალებსა და გოგოებს, რათა გაიზარდოს მათი თავდაჯერებულობა და ცოდნა ძალადობის შესახებ. კამპანია ასევე სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებებს ადამიანებს, ვინც ძალადობის მსხვერპლად თვლის თავს. 2008 წელს გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა კიდევ ერთი ცნობიერების ამაღლების კამპანია წამოიწყო სახელწოდებით ,,ძალადობა ქალების წინააღმდეგ - ჩვენთან არა"[58].

უნგრეთში მოქმედებს ეთიკის კოდექსი მწვრთნელებისათვის, რომელიც მხარდაჭერილია უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტისა და ადამიანური რესურსების სამინისტროს მიერ. აღნიშნული კოდექსის მიხედვით მწვრთნელებმა თავი უნდა შეიკავონ სპორტსმენებთან ფიზიკური კონტაქტისა და ინტიმური ურთიერთობებისგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული სექსუალური შევიწროების შემთხვევები. უნგრეთის უმეტეს სპორტულ ფედერაციას მიღებული აქვს აღნიშნული კოდექსი[59].

2011 წელს დანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის ფედერაციამ შექმნეს სისტემა, რომელიც ახდენს დამნაშავეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. აღნიშნული სისტემა აღიარებულია მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ. მონაცემები შეიცავს ინფორმაციას ადამიანზე, რომლის მიმართაც მოხდა დისციპლინური წარმოება. მონაცემებზე წვდომა აქვს მხოლოდ ავტორიზებულ პირებს სპორტის ფედერაციებიდან[60].

ინიციატივები, რომლებიც ხორციელდება ავსტრიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, ფინეთსა და გაერთიანებულ სამეფოში არის უფრო ყოვლისმომცველი. ავსტრიაში

---

[56] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[57] იქვე

[58] იქვე

[59] იქვე

[60] იქვე

მაგალითად შემუშავებულია პროგრამა, სატელეფონო მხარდაჭერის სპორტსმენებისთვის, ვინც თავს ძალადობის მსხვერპლად თვლის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა კონკრეტული ადამიანების სპორტულ ორგანიზაციებში აყვანა, რომლის ვალდებულებაშიც შედიოდა ორგანიზაციაში სპორტში გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ეს მიდგომა გახდა პოპულარული სპორტულ ორგანიზაციებში და ყველა ეროვნულ ფედერაციაში გაჩნდა ასეთი პოზიცია. აღნიშნულ პოზიციაზე მომუშავე ადამიანი რეგულარულად მართავს სემინარებსა და დისკუსიებს გენდერულ ასპექტებზე, მათ შორის გენდერულ ძალადობაზე სპორტში. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა საგანმანათლებლო მასალები, რომლებიც გავრცელდა სპორტში ჩართულ ადამიანებთან[61].

გენდერულ ძალადობაზე, მათ შორის სექსუალურ შევიწროებაზე საგანმანათლებლო რესურსების მომზადება იყო ასევე წამყვანი მიმართულება ფინეთში, ფინეთის სპორტის ფედერაციის ორგანიზებით. პროგრამაში ჩართულები იყვნენ ასევე გენდერის სპეციალისტები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების სამიზნე ჯგუფში შედიან მწვრთნელები. მსგავსი მიდგომაა დამკვიდრებული გაერთიანებულ სამეფოში, სადაც განხორციელდა პროექტი ,,სპორტი პატივს სცემს თქვენს უფლებებს". აღნიშნული პროექტი მხარდაჭერილი იყო სპორტის სამთავრობო უწყებების მიერ.

2009 წელს FIFA-მ მიიღო სახელმძღვანელო პრინციპები სექსუალური შევიწროებისა და სამუშაო ადგილზე ბულინგის შესახებ თავისი დასაქმებულებისთვის. FIFA-ს ეთიკის კოდექსი უზრუნველყოფს, რომ ყველა დასაქმებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანასწორი მოპყრობით და აცხადებს ნულოვან ტოლერანტობას დისკრიმინაციისა და შევიწროების მიმართ. ყველა ახალი დასაქმებული ინფორმირებული უნდა იყოს სექსუალური შევიწროებისა და დასაქმების ადგილზე ბულინგის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ[62].

საჭიროების შემთხვევაში, FIFA-ს დასაქმებულებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ნდობით აღჭურვილ გარეშე პირს (ქალი ან კაცი). ასეთი ადამიანი უნდა იყოს სპეციალურად გადამზადებული და უნდა იცავდეს კონფიდენციალობას. მათ როლში შედის:

- პირის მოსმენა, რჩევის მიცემა და მხარდაჭერა;
- პირის თხოვნის შესაბამისად შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რომ დასრულდეს ნებისმიერი ფორმის შევიწროება. ეს ნაბიჯი შეიძლება მოიცავდეს დისკუსიას შევიწროების განმახორციელებელთან და მმართველ რგოლთან;
- პირის ინფორმირება სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებით გათვალისწინებული დაცვის საშუალებების შესახებ;
- პირის მოთხოვნით დამოუკიდებლად ან მასან ერთად, მმართველობის ინფორმირება და შესაბამისი გამოძიების დაწყების მოთხოვნა[63]

სპორტში ბავშვების სექსუალური ძალადობისგან დაცვის ინიციატივები

სპორტში ძალადობის თემაზე არსებული ზოგადი ინიციატივების გარდა, არსებობს უშუალოდ სპორტში ბავშვების ძალადობისგან დაცვის სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტების ნაწილი აღიარებულია საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების მიერ,

[61] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[62] FIFA Good Practice Guide on Diversity and Anti-discrimination, FIFA, 2018

[63] იქვე

მაგალითად როგორიც არის ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირი (UEFA). ასევე, ცალკეული პროექტები ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით შემუშავებულია ევროპის ქვეყნებში[64].

სპორტში ბავშვების ძალადობისგან დაცვის მნიშვნელოვანი ინიციატივებია განვითარებული ფინეთში. ფინეთის სპორტის ფედერაციის მიერ შემუშავებულია ცნობიერების ამაღლების სახელმძღვანელო სპორტში სექსუალური ძალადობის თემაზე[65], რომელიც იძლევა მნიშვნელოვან სახელმძღვანელო მითითებებს ბავშვებთან მომუშავე უფროსებისთვის. დოკუმენტი ასევე ცალკე გამოყოფს როგორ უნდა იმართოს ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები.

ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში ყველა სამთავრობო დაფინანსების სპორტულ ორგანოს აქვს ბავშვის დაცვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ძალადობის ყველა ფორმას (სექსუალური, ფიზიკური, ემოციური, უგულებელყოფა) და უზრუნველყოფს ტრენინგებს მწვრთნელებისა და სხვა თანამშრომლებისათვის, მათ შორის მოხალისეებისთვის. აღნიშნული მიდგომის დამკვიდრების აუცილებლობა გამოწვეული იყო ორივე ქვეყანაში სპორტში ბავშვების სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებლით. ამის მსგავსად, დოკუმენტი ,,ბავშვების დაცვა ფეხბურთში", რომელიც შემუშავდა სლოვენიაში მიერ UEFA-სთან თანამშრომლობით, კრძალავს ყველა სახის ძალადობას ფეხბურთში ბავშვების მიმართ.

ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირმა შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ფეხბურთში ბავშვების ძალადობისგან დაცვასა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად[66].

დოკუმენტი ფეხბურთში ბავშვების დაცვას 5 ძირითად მიზნის მიღწევას უკავშირებს:

1. უსაფრთხოების დაცვისთვის საფუძველის შექმნა. აღნიშნული მიზანი გულისხმობს პროცედურებისა და პრაქტიკების განვითარებას, რომელიც ძალადობის პრევენციას შეუწყობს ხელს;
2. ორგანიზაციული მზადყოფნა პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს გულისხმობს, რომ ყველა საფეხბურთო ორგანიზაცია დარწმუნებული უნდა იყოს მიღებული პოლიტიკისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაში და არ უნდა მოხდეს შემუშავებული რეგულაციების მხოლოდ წერილობითი ფორმით არსებობდა. დიდი ძალისხმევა უნდა ჩაიდოს ცნობიერების ამაღლებაზე, ტრენინგებსა და კომუნიკაციაზე. ეფექტური კომუნიკაცია და განათლება არის უმთავრესი, რათა მიღწეული იყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა ფეხბურთში;
3. ცნობიერების ამაღლება.
4. სამუშაო პროცესში გარეშე მხარეების ჩართვა. აღნიშნული მიზანი მოიცავს პრობლემების მოგვარებაზე რეაგირებას, რომელიც ასევე შეიძლება გულისხმობდეს გარეშე სააგენტოების ჩართვას პროცესში.

---

[64] სპორტში ბავშვების ძალადობისგან დაცვის ინიციატივების შესახებ შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღოთ სხვადასხვა ოფიციალური მიზნობრივი ვებგვერდებიდან: Children Spean up be Safe for Athletes, Child help and the Foundation for Global Sports Development https://bit.ly/34QRjQg, Strong Network against Violence https://gleichstellung.dosb.de/themen/schutz-vor-gewalt, Child Safeguarding Toolkit for Member Associations, FIFA https://fifa.fans/3z1ldPI, Safeguard Children and Young People in Football, The FA https://bit.ly/2TFywW2,

[65] Allowed to Care, Allowed to Intervene' (FSF 2002/2011)

[66] Child Safeguard Toolkit for UEFA Member Associations

5. უსაფრთხოების დაცვაში წარმატების გაზომვა. ეს გულისხმობს მონიტორინგის განხორციელებას პროგრესის შესაფასებლად და კარგი პრაქტიკების იდენტიფიცირებისათვის.

პირველი მიზანი, რომელიც ფეხბურთში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ერთიანი სტანდარტებისა და პოლიტიკის შექმნას ისახავს ამოცანად, მოიცავს ბავშვების ძალადობისგან დაცვას. დოკუმენტი განმარტავს სექსუალურ ძალადობას როგორც ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად. დოკუმენტი იძლევა ჩამონათვალს, რა შეიძლება განხილული იყოს სექსუალურ ძალადობად. მათ შორის ასახელებს ბავშვებისათვის სურათების გადაღებას, მაგალითად შხაპის მიღების დროს, ბავშვების თანდასწრებით სექსუალური სურათებისა და აქტივობების ყურებას, არასასურველი კომენტარების გაკეთებას, განსაკუთრებით თუ ის სექსუალური შინაარსის შემცველია.

UEFA-ს მიერ მომზადებული დოკუმენტი იძლევა საკითხების ჩამონათვალს, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით საფეხბურთო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულმა სტანდარტებმა. ესენია: უსაფრთხოების განმარტება, ძალადობის განმარტება და ძალადობის ფორმების დაკონკრეტება, კავშირი ეროვნულ კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებთან, ბავშვის უსაფრთხოების დაცვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და განმარტება, ეთიკის კოდექსი, ვიზიტორების, მათ შორის მედიის წარმომადგენლების ვიზიტი, ფოტო და ვიდეო გადაღების წესები, ონლაინ უსაფრთხოება და დაცვა, ცნობიერების ამაღლება და ტრენინგები.

სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენცია

ძალადობის პრევენციის ინიციატივები სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბებისთვის

გენდერული ძალადობის პრევენციული ღონისძიებები სპორტში მოიცავს ინიციატივებს, რომელიც დაკავშირებულია არსებული სოციალური და კულტურული ნორმების ცვლილებასთან. საერთაშორისო დონეზე და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მსგავსი ინიციატივების არაერთი მაგალითი არსებობს.

სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციაზე მიმართული ინიციატივების უმეტესობის მიზანია **ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება** სპორტულ ორგანიზაციებში, მათ შორის ფედერაციებში, ასოციაციებსა და კლუბებში. ძირითადი მიდგომები მსგავსი ინიციატივების შემთხვევაში არის მრავალმხრივი და მოიცავს:

- შესაბამისი მასალების მომზადებას (სტიკერები, პოსტერები, საინფორმაციო ბროშურები), სახელმძღვანელოები შექმნას, ინტერაქტიული სცენარების შემუშავებას;
- კონფერენციებს, კამპანიებსა და ტრენინგებს.

მაგალითად, *ავსტრიაში* პროექტის ,,Call4Girls and Call4Boys[67]" ფარგლებში მომზადდა საგანმანათლებლო მასალები, რათა მოეხდინა სპორტის სფეროში ჩართული პირების ცნობიერების გაზრდა გენდერული ძალადობის შესახებ. კვიპროსში, მოეწყო ლექცია სპორტის ორგანიზაციების როლის შესახებ ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის თემაზე. გაერთიანებულ სამეფოში შეიქმნა სპეციალური

[67] Call4Girls/Call4Boys Helping to Support Victims of Gender-based Violence in Sport - https://bit.ly/3gaA162

ტრენინგები აღნიშნულ თემაზე, რომელიც ასევე განთავსებულია ონლაინ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობისთვის[68].

სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციის მიზნით ინიციატივების კიდევ ერთი კატეგორიაა არის, ვებსაიტების საშუალებით სპორტის საზოგადოების, მათ შორის მშობლების ინფორმირება სპორტში გენდერული ძალადობის შესახებ და მათთვის მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება. ასეთი ვებსაიტების მაგალითებს შორის შეიძლება გამოიყოს პორტალი ,,თამაში წესებით"[69], რომელიც განვითარდა *სამხრეთ ავსტრალიის* სპორტისა და რეკრეაციის დეპარტამენტის მიერ, რათა მოხდეს ცნობიერების გაზრდა და შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა დაცვის, სექსუალური შევიწროებისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ. ის მოიცავს უახლეს ინიციატივებისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და ხელმისაწვდომია ონლაინ ტრენინგები, რესურსები, სახელმძღვანელოები და სამართლებრივი საკითხები, მათ შორის განთავსებულია გასაჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმაცია. მსგავსი მიდგომის კიდევ ერთი მაგალითია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საგანმანათლებლო ვებსაიტი, რომელიც იძლევა სპეციფიურ ინფორმაციას სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის, ჰომოფობიისა და სიძულვილის შესახებ სპორტში.

ავსტრალია - ახალი სამხრეთ უელსის სპორტისა და რეკრეაციის დეპარტამენტმა შექმნა პროგრამა ,,ბავშვების დაცვა და ინტერვენცია: პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო სპორტის ორგანიზაციებისთვის". დეპარტამენტი სამიზნე ჯგუფებს სთავაზობს ონლაინ რესურსების დიდ არჩევანს, რომელიც მოიცავს შემთხვევების ანალიზს, სამართლებრივ საკითხებზე დისკუსიას და შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევებზე ეფექტურ რეაგირების მიდგომებს. 2004 წელს ასევე შეიქმნა სახელმძღვანელო მწვრთნელებისთვის. ,,წესებით თამაში" (Play by the Rules) არის ონლაინ ტრენინგების რესურსი მწვრთნელების, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სპორტსმენებისთვის. ის იძლევა ინფორმაციას, როგორ უნდა მოხდეს პრევენცია და გამკლავება არასასურველი ქცევის, მათ შორის დისკრიმინაციის, შევიწროების, ფავორიტიზმის, მიკერძოებისა და ძალადობისთვის. ,,წესები თამაში" წარმოადგენს ავსტრალიის სპორტის კომისიის, ადამიანის უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების კომისიის, სახელმწიფოსა და ადგილობრივი სპორტის, რეკრეაციისა და ანტიდისკრიმინაციული სააგენტოების თანამშრომლობით შექმნილი.

კანადა - ბრიტანეთის კოლუმბიის მთავრობამ შექმნა პროგრამა ძალადობის პრევენცია სპორტში, რომელიც ონლაინ სთავაზობს ორგანიზაციებს ინფორმაციას როგორ გაუმკლავდნენ შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევებს, მათ შორის როგორ მოახდინონ ძალადობრივი სიტუაციების იდენტიფიცირება და ვის მიმართონ დახმარებისთვის. ის ასევე მოიცავს ინფორმაციას როგორ მოხდეს რეაგირება შევიწროებასა და ძალადობაზე. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სასარგებლო ინფორმაცია მშობლებისთვის, მწვრთნელებისთვის, მასწავლებლებისა და მოხალისეებისთვის. მწვრთნელების ეროვნული სერტიფიცირების პროგრამა (NCCP)[70] არის მწვრთნელების გადამზადებისა და სერტიფიცირების პროგრამა 66 სხვადასხვა სპორტის სახელობისთვის, რომელიც ხორციელდება კანადის მწვრთნელების ასოციაციის მიერ. კურსი მიმდინარეობს მთელი

[68] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[69] პროექტის ოფიციალური ვებგვერდი - https://www.playbytherules.net.au/

[70] პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია კანადის მწვრთნელების ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე - https://coach.ca/

ქვეყნის მასშტაბით და აღიარებულია როგორც მწვრთნელების ეროვნულ სტანდარტი. NCCP სამუშაო შეხვედრები ორგანიზებულია ისე, რომ უპასუხოს ყველა კატეგორიის მწვრთნელის საჭიროებებს, დაწყებული დამწყები მწვრთნელებისა დამთავრებული ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებისა. პროგრამის ნაწილია, რომ ყველა მწვრთნელი გადამზადებული იყოს ეთიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სპორტში უსაფრთხოებაში. კანადაში შექმნილი კიდევ ერთი ინიციატივის მიზანია გადაიჭრას ძალადობისა და შევიწროების პრობლემები ბავშვთა სპორტში. სხვადასხვა მიდგომების გარდა, პროგრამა მოიცავს სამუშაო შეხვედრების სერიას. პროგრამის პილოტირება მოხდა ონტარიოს ჰოკეის გუნდში და დიდი დაინტერესება გამოიწვია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პროგრამა ძირითადად აქცენტს აკეთებს პრევენციულ საგანმანათლებლო მიდგომებზე სპორტში ბავშვების მიმართ ძალადობის შესამცირებლად[71].

ირლანდია - ირლანდიის კალათბურთის ასოციაციის ეთიკის კოდექსი ,,ბავშვები სპორტში" ფარავს პოლიტიკას, ღირებულებებსა და პრინციპებს ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის, მშობლებისა და მწვრთნელებისთვის[72]. ის მოიცავს მოხალისეების შერჩევის პოლიტიკას, პოლიტიკას ბავშვებთან ერთად გადაადგილებასთან დაკავშირებით.

გაერთიანებული სამეფო - დიდ ბრიტანეთში შემუშავებული ინიციატივა მოიცავს სამუშაო შეხვედრებს მწვრთნელებისთვის ,,ბავშვების უსაფრთხოება და დაცვა". გაერთიანებულ სამეფოში განვითარდა კიდევ ერთი ინიციატივა ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. პროგრამა გათვალისწინებულია ყველასთვის, ვინც რაიმე ფორმით დაკავშირებულია ბავშვებთან სპორტული აქტივობების კუთხით და ის რელევანტურია ორგანიზაციებისთვის, რომელთაც აქვთ ბავშვების დაცვის პოლიტიკა შემუშავებული. პროგრამის მიზანია დაეხმაროს კლუბებს დაიცვან და უზრუნველყონ ბავშვების უსაფრთხოება და გაიაზრონ საკუთარი როლი ბავშვების დაცვაში. აღნიშნული პროგრამის შეთავაზებით ორგანიზაციებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ყველა თანამშრომელსა და მოხალისეს ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და აუცილებელი უნარები, რომ მოახდინონ და ეფექტურად უპასუხონ ბავშვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს[73].

ინიციატივების მეორე მიმართულება არის **პოლიტიკის განვითარება** და იმპლემენტაცია სპორტის ორგანიზაციებში, მათ შორის ფედერაციებში, ასოციაციებსა და კლუბებში. აღნიშნული მოიცავს ოფიციალური დოკუმენტების შექმნას, მათ შორის აღნიშნული ინიციატივები გულისხმობს სახელმძღვანელო პრინციპების შექმნას, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტებს, ღონისძიებებსა და პროცედურებს სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პოლიტიკის დოკუმენტებში არსებული თემები ძირითადად განვითარებულია იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც გამომდინარეობს სპორტული ორგანიზაციების პრაქტიკიდან. მაგალითად, *ავსტრალიის* სპორტის კომისიამ განავითარა წევრების დაცვის

---

[71] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[72] The Code of Ethics and Good Practice for Children's Sport, https://bit.ly/3vQH6Q3

ასევე, შეგიძლიათ იხილოთ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ,,ბავშვების უსაფრთხოება სპორტში" (CSiS) ფარგლებში მიმდინარე აქტივობები უსაფრთხო სპორტის თემაზე ბავშვებისათვის, https://pjp-eu.coe.int/en/web/pss/home

[73] ინიციატივაზე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ოფიციალურ გვერდზე, https://thecpsu.org.uk/

პოლიტიკა, რომელზე დაყრდნობითა და საკუთარ გამოცდილებაზე მორგებით ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებსა და კლუბებს უნდა განევითარებინათ საკუთარი სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან დაცვის პოლიტიკა. *დანიის* ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტულმა ფედერაციებმა შეიმუშავეს სახელმძღვანელო ადგილობრივი სპორტული კლუბებისათვის, რათა მათ თავად განევითარებინათ ინდივიდუალური სექსუალური შევიწროებისგან დაცვის პოლიტიკის დოკუმენტები[74].

პრევენციული სტრატეგიები მოიცავს პოლიტიკის შექმნას, რომელიც დაკავშირებულია უმეტესად ეთიკური პრაქტიკის შექმნასთან, განათლებასა და ტრენინგებს, საჩივრებისა და მხარდაჭერის მექანიზმებსა და მონიტორინგისა და შეფასების სისტემებს. კულტურული განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა სპორტულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს აღნიშნული მიდგომები. პოლიტიკა არის უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულებაზე მკაფიო მითითება. ასეთი პოლიტიკა მკაფიოდ უნდა აკეთებდეს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რა მოითხოვება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებების პატივისცემა, კეთილდღეობა და დაცვა. ის შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციას, იმოქმედოს, როდესაც რაიმე სახის საჩივარი ან უკანონო ქმედება განხორციელდება. ის ასევე იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს, დისციპლინური და სხვა სახის ღონისძიებები საჭიროების შემთხვევაში. ასეთი ერთიანი მიდგომების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევების მაქსიმალურად შემცირება[75].

სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან დაცვის პოლიტიკა უნდა:

- ახდენდეს სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის განსაზღვრასა და განმარტებას;
- უნდა იყოს მკაფიო და ადვილად გასაგები;
- მოიცავდეს სპორტსმენებთან კონსულტაციებს;
- შესაბამისი რელევანტური მმართველი ორგანოების მიერ უნდა მოხდეს მისი აღიარება და მისი ასახვა რეგულაციებში;
- უნდა ვრცელდებოდეს ორგანიზაციაში მყოფ ყველა პირზე;
- მხარდაჭერილი უნდა იყოს ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო და სატრენინგო სტრატეგიებით;
- მუდმივად უნდა ხდებოდეს მისი გადასინჯვა და გადახედვა.

პოლიტიკის დოკუმენტი:

- მკაფიოდ უნდა აცხადებდეს, რომ ყველა წევრს აქვს უფლება პატივისცემაზე, უსაფრთხოებასა და დაცვაზე;
- აცხადებდეს, რომ წევრების კეთილდღეობა არის უპირველესი;
- განსაზღვრავდეს, ვინ არის აღნიშნული პოლიტიკის დანერგვაზე პასუხისმგებელი პირი;
- განსაზღვრავდეს, რა ქმედება წარმოადგენს ძალადობას და/ან შევიწროებას;
- უთითებდეს რა შედეგებს გამოიწვევს ნებისმიერი სახის ძალადობა;
- განსაზღვრავდეს მსგავსი ქმედების გასაჩივრების პროცედურებს;

[74] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[75] IOC Consensus Statement on Sexual Harassment and Abuse in Sport, International Olympic Committee, 2007

- უთითებდეს, სად შეიძლება საჩივრის მხარეებმა მიიღონ მხარდაჭერა და დახმარება;
- მოიცავდეს სახელმძღვანელო მითითებებს მესამე მხარეებისთვის ძალადობის ფაქტების შეტყობინების თაობაზე[76].

მიუხედავად იმისა, რომ სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ **სხვადასხვა აქტორების გაერთიანებული მუშაობის გამოცდილება** არ არის ჯერ-ჯერობით გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ალიანსების და სამუშაო ჯგუფების საშუალებით ერთობლივ ბრძოლას სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ, მსგავსი ინიციატივები ნელ-ნელა მაინც ვითარდება. ამის მაგალითია *ხორვატიის* ეროვნული სპორტული ფედერაციების კოორდინაციის ქსელი. აღნიშნული ქსელი ჩამოყალიბდა ხორვატიის ოლიმპიური კომიტეტის, კომიტეტის სპორტში გენდერული თანასწორობის კომისიისა და მეცნიერების, განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ. აღნიშნული ქსელის მიზანია პრევენციული აქტივობების დანერგვა და ცნობიერების ამაღლება სპორტში გენდერული ძალადობის შესახებ. მსგავსი ალიანსური მუშაობის მაგალითია *გერმანიაში,* ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალიის მაგალითი. იმისთვის რომ გახდნენ ალიანსის წევრები, სპორტულ კლუბებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ სტანდარტები, რომლის მიზანია სპორტში ყველა ფორმის სექსუალური ძალადობის აღმოფხვრა[77].

სპორტში სექსუალური შევიწროებისა და პრევენციისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინიციატივად განიხილება **ეთიკის კოდექსების** არსებობა, რომელიც აწესებს მნიშვნელოვან სტანდარტებს სპორტში დასაშვები ქცევების შესახებ. აღნიშნული სტანდარტების შესრულებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეცვალოს ორგანიზაციების, თანამშრომლების, სპორტსმენების ქცევა, უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა და შესაძლებელი გახადოს პოტენციური გენდერულ ძალადობაზე დაფუძნებული შემთხვევების მართვა. ამ მხრივ საინტერესოა *ირლანდიის* სპორტის საბჭოს მიერ შექმნილი აპი ,,უსაფრთხო სპორტი[78]", რომელიც დაფუძნებულია ეთიკის კოდექსის მოთხოვნებსა და სპორტში ბავშვების მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკებზე. აპი მოიცავს ინფორმაციასა და სახელმძღვანელო მითითებებს ყველასთვის, ვინც ჩართულია ბავშვებთან და ახალგაზრდებთან სპორტულ აქტივობებში. მისი მიზანია სპორტში უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

არსებულ გამოცდილებებზე დაყრდნობით, რაც უკვე განხორციელებულია სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციის მიმართულებით, მომავალი ინიციატივების დროს უნდა მოხდეს შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- მოხდეს მიზნობრივი აუდიტორიის ყველაზე მწვავე საჭიროებების შეფასება და მათი მოლოდინების განსაზღვრა;
- გაანალიზდეს სხვა ინიციატივები და მიდგომები, რომლებიც უკვე განვითარებულია სპორტში ან/და სხვა კონტექსტებში გენდერული ძალადობის წინააღდეგ საბრძოლველად, რადგან შესაძლებელია მოხდეს მათი ადვილად ადაპტირება კონკრეტული კულტურული და სოციალური გარემოს შემთხვევაში;

---

[76] IOC Consensus Statement on Sexual Harassment and Abuse in Sport, International Olympic Committee, 2007

[77] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[78] ინიციატივის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ოფიციალურ ვებგვერდზე, https://bit.ly/3z0KLfP

- მოხდეს არსებული პოლიტიკის ჩარჩოს მხედველობაში მიღება, რომელიც დაეხმარება პრევენციულ ინიციატივებს;
- პროცესში მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის, მომხმარებლების და სამიზნე ჯგუფების ჩართვა როგორც ინიციატივის შემუშავების, ისე მისი პილოტირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში;
- მოხდეს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსის გამოყენება ინიციატივის იმპლემენტაციისთვის და მაქსიმალურად მოკლე დროში შესაბამისი დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად;
- უზრუნველყოფილი იყოს ინიციატივის იმპლემენტაციის რეგულარული მონიტორინგი, მათ შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარე მონიტორინგი[79].

სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციული ღონისძიებების სამიზნე ჯგუფები

სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციის არსებული ინიციატივების უმეტესობისათვის სამიზნე არიან მწვრთნელები და სპორტული ორგანიზაციები (ფედერაციები, ასოციაციები და კლუბები). არსებული კვლევებითა და ექსპერტების მოსაზრებების დასტურდება, რომ მაქსიმალურად ბევრი ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივას საჭიროებენ სწორედ ეს სამიზნე ჯგუფები. სპორტში გენდერული ძალადობის პრევენცია უნდა მოიცავდეს აუცილებლად მწვრთნელების განათლებასა და მათთვის საკვალიფიკაციო კურსების მიწოდებას, სავალდებულო ტრენინგებზე დასწრებას, რომელიც უნდა იყოს ლიცენზიის მიღების და/ან განახლების წინაპირობა. ეს მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს როგორც დასაქმებული, ისე მოხალისე მწვრთნელების შემთხვევაში[80].

სპორტში პრევენციაზე მიმართული ინიციატივების ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული ინიციატივები ნაკლებად არის მიმართული უშუალოდ სპორტსმენებზე. ძირითადად ისინი აქცენტს აკეთებენ სპორტულ ორგანიზაციებისა და მწვრთნელების ცნობიერების ამაღლებაზე, როგორიცაა მაგალითად, ბელგიაში არსებული პროექტი ,,Flag System"[81]. თუმცა, ახალგაზრდა სპორტსმენებზე მიმართული პროექტები, როგორიცაა მაგალითად ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტი ,,სპორტი პატივს სცემს თქვენს უფლებებს" (,,Sport Respect Your Rights"[82]), მაინც საკმაოდ მწირია. ამასთან, არსებული ინიციატივები, რომლებიც მიემართებათ ზრდასრულ სპორტსმენებს, ხშირად თავად მათ მიერ ინფორმაციის მოძიებას გულისხმობს. მაგალითად, დაესწრონ კონფერენციებს, ან ეწვიონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საგანმანათლებლო ვებსაიტს სექსუალურ შევიწროებასა და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით. იგივე შეიძლება ითქვას ახალგაზრდა სპორტსმენების მშობლებზეც - მათაც ასევე ჭირდებათ ინფორმაციის მოძიება თავად.

სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციაზე მიმართული ინიციატივების ავტორები

ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, პრევენციაზე მიმართული ინიციატივების ძირითადი ინიციატორები და განმახორციელებლები არიან სპორტული ორგანიზაციები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული ოლიმპიური

---

[79] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[80] იქვე

[81] Sport with Boundaries: The Flag System SPORT, https://bit.ly/34NWy3w

[82] ინიციატივის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ოფიციალურ ვებგვერდზე, http://sport-respects-your-rights.eu/

კომიტეტები, სპორტის ფედერაციები, კონფედერაციები და ასოციაციები, მწვრთნელების ასოციაციებთან ერთად არიან გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მთავარი ინიციატორები. მაგალითად, სექსუალური შევიწროების სახელმძღვანელო დოკუმენტი სპორტში ინიციატივის ავტორია ჩეხეთის ოლიმპიური კომიტეტი და ფინეთის სპორტის ფედერაციები, ასევე პრეზენტაციები სექსუალურ ძალადობაზე უნგრეთის მწვრთნელების ასოციაციის ორგანიზებით.

ზოგიერთ შემთხვევებში, სამინისტროები და სამთავრობო უწყებები არიან პასუხისმგებლები პოლიტიკის შექმნაზე, რომელიც მიმართული იქნება პრევენციული პრაქტიკების შექმნაზე. მაგალითად, საფრანგეთში ურბანული საკითხების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი სპორტში არაეთიკური ქცევის, ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს კონკრეტულ მითითებებს გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე, მათ შორის ჰომოფობიაზე. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სპორტული ფედერაციების, ლიგებისა და მინისტრების ჩართვის მაგალითია ბელგიის შემთხვევა, სადაც იყო კამპანია ფეხბურთში ჰომოფობიის თემაზე. ასევე, მსგავსი კამპანია განხორციელდა საფრანგეთში სპორტში სექსუალური ძალადობის თემაზე[83].

სექსუალური შევიწროების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში

სექსუალური შევიწროება საქართველოს კანონმდებლობაში 2019 წლიდან გაჩნდა და ძირითადად აისახა შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: ,,დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსი“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ შევიწროებას განიხილავს როგორც დისკრიმინაციას. კანონში ცალკე არის გამოყოფილი სექსუალური შევიწროების ცნება: *,,სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“* (მუხლი 3[2]). აღნიშნული კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ ქვეყანაში დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი (მუხლი 6). ზედამხვედველობა მოიცავს როგორც ქვეყანაში თანასწორობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშების მომზადებას (მუხლი 7), ისე ინდივიდუალური საჩივრების განხილვას, დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას (მუხლი 6). კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ ყველა ადამიანს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, როგორიც არის მათ შორის სექსუალური შევიწროების შემთხვევა, შეუძლია მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლების დაცვის მიზნით (მუხლი 10).

სექსუალური შევიწროების განმარტება მოცემულია ასევე საქართველოს კანონში ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“. სექსუალური შევიწროების აღნიშნულ კანონში მოცემული განმარტება სრულად შეესაბამება ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის

[83] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულ განმარტებას (მუხლი 6). კანონის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სპორტში, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და სათანადო პირობების შექმნას ქალისა და მამაკაცისათვის. კანონის მიზნებისათვის, გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. აღნიშნული საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე მხარდაჭერას გულისხმობს.

სპორტში ქალების შევიწროების თემაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ორგანული კანონში ,,საქართველოს შრომის კოდექსი“ ზოგადად შევიწროების და მათ შორის, კონკრეტულად სექსუალური შევიწროების რეგულირება. აღნიშნული კოდექსიც პირდაპირ უთითებს, რომ შევიწროება არის დისკრიმინაციის ფორმა, სექსუალური შევიწროების დეფინიციის განსაზღვრის შემთხვევაში კი იმეორებს ,,დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომას (მუხლი 4). თუმცა, დამატებით განმარტავს დეფინიციაში შემავალ ტერმინს ,,სექსუალური ხასიათის ქცევა“, რომელიც კანონის მიზნებისათვის არის *,,პირისთვის სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და ასეთი ფრაზებით მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა“* (მუხლი 4). მნიშვნელოვანია ასევე კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას გაერთიანების წევრობის ნიშნით, რომლის მიზანია *,,დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ან მისი სხვაგვარად შევიწროება დასაქმებულთა გაერთიანების წევრობის ან ამ გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო“* (მუხლი 53). 2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა შრომის კანონმდებლობაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შრომის კოდექსში შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხების ცალკე თავად გამოყოფა და დეტალური რეგლამენტირება. მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელს სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების ვალდებულება დაეკისრა[84]. კერძოდ, კოდექსი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში დამსაქმებლების ვალდებულებას და ჯარიმის ოდენობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებლის დაჯარიმება სექსუალური შევიწროების გამო არ გულისხმობს სხვა პასუხისმგებლობებისგან მის გათავისუფლებას (მუხლი 78).

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე აღიარებულია სექსუალური შევიწროების აკრძალვა და ის განხილულია როგორც დისკრიმინაციის ფორმა, მნიშვნელოვანი ხარვეზია ის ფაქტი, რომ შრომის ინსპექცია მხოლოდ შრომის უსაფრთხოების საკითხებს ამოწმებს და მის მანდატში არ შედის შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შემოწმება. კანონით არ არის განსაზღვრული ის ფაქტი, რომ სამუშაო ადგილზე ძალადობის სხვადასხვა ფორმა შრომითი უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია[85].

სექსუალური შევიწროების გამო სახდელის სახეებს განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც აქცენტს აკეთებს საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალურ შევიწროებაზე. მათ შორის ცალკე გამოყოფს სექსუალური ხასიათის ქცევას არასრულწლოვანის, ორსული, უმწეო მდგომარეობაში

---

[84] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, https://www.ombudsman.ge/res/docs/2021050611590027208.pdf

[85] საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“

მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, რა დროსაც იზრდება ადმინისტრაციული სახდელის სახით განსაზღვრული ჯარიმა (მუხლი 166[1]).

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზიდან იკვეთება, რომ გარდა სექსუალური შევიწროების ზემოაღნიშნული ზოგადი ჩანაწერებისა, სპორტში ქალების სექსუალური შევიწროების თემაზე არ არსებობს კონკრეტული ჩანაწერო როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის დოკუმენტებში. საქართველოს კანონში ,,სპორტის შესახებ" არაფერია ნათქვამი სპორტში დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობაზე, მათ შორის არც შევიწროების საკითხი არის ნახსენები. პოლიტიკის დოკუმენტში ,,საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა[86]" საუბარია პრინციპებზე, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს ხედვა სპორტში ახალგაზრდების მონაწილეობაზე. პრინციპებს შორის არის ,,თანასწორობა". თუმცა, ამის გარდა სხვა რაიმე კონკრეტული ღონისძიება, ხედვა, მიდგომები როგორ უნდა მოხდეს თანასწორობის უზრუნველყოფა, პოლიტიკის დოკუმენტის დონეზე არ არის განსაზღვრული. სამწუხაროდ სრულიად დოკუმენტის მიღმა არის დარჩენილი გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ძალადობისგან, მათ შორის შევიწროებისგან დაცვის საკითხები 2014-2020 წლების სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში[87].

სპორტის სხვადასხვა სფეროში, ფედერაციების, ასოციაციებისა და კლუბების დონეზე სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის თემაზე რეგულაციების შესწავლის მიზნით, ორგანიზაციამ ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" 2021 წლის 08 აპრილს მიმართა საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. თუმცა, სამინისტრომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიაწოდა ორგანიზაციას[88].

დასკვნა

სპორტში ქალთა სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის თემაზე არსებულმა საერთაშორისო კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული თემა სიახლეს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზეც და ნელ-ნელა, არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ ვითარდება და უმჯობესდება მიდგომები.

საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების მიდგომებისა და სხვადასხვა ქვეყნებში განვითარებული პრაქტიკების მიხედვით, მნიშვნელოვანია ერთიანი პოლიტიკის არსებობა ეროვნულ დონეზე სპორტში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიმართულებით ორი მიდგომა გამოიკვეთა: პირველი, როდესაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ინიციატივით იქმნება და ინერგება აღნიშნული ერთიანი სტანდარტები და მეორე, როდესაც ეროვნული სამთავრობო უწყებები ერთვებიან აქტიურად ერთიანი პოლიტიკის შექმნაში. თუმცა, პირველი მიდგომის შემთხვევაშიც, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებთან ერთად აქტიურ როლს თამაშობენ სამთავრობო ორგანოები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არსებითად მნიშვნელოვანია ერთიანი ეროვნული ჩარჩო დოკუმენტების ეფექტური დანერგვისთვის, მის შექმნაში და გავრცელებაში ჩართულები იყვნენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამთავრობო უწყებები.

---

[86],,საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა- https://bit.ly/2RX1Wyk

[87] სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი - https://bit.ly/3vETNgq

[88] პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის 2021 წლის 08 აპრლის წერილი გ-01/1832-21

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ უფრო დიდი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს პრევენციულ ღონისძიებებზე, რომელიც გრძელვადიანად უფრო ეფექტურია და ამასთან პირდაპირ უკავშირდება სპორტის სამყაროში არსებული სოციალური ნორმების ტრანსფორმაციას, რომელიც მთავარი მასაზრდოებელია სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევაში. პრევენციული ღონისძიებები თავის მხრივ ყველა ჯგუფს უნდა მიემართებოდეს. კერძოდ, ის ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ მწვრთნელებისა და კლუბების/სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობების განვითარებაზე, არამედ უშუალოდ სპორტსმენების, მათი მშობლების და სპორტის სფეროში ჩართული ყველა ადამიანისათვის. თუმცა, მაინც უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს მწვრთნელებსა და სპორტული ორგანიზაციების ადმინისტრაციაზე, ვინაიდან სტატისტიკური მონაცემებით სწორედ მათი მხრიდან ხორციელდება ყველაზე მეტად სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევები.

სამაგიდე კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სპორტში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის აქტიურად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განსაკუთრებით კი ახალგაზრდა სპორტსმენებში. ასევე, გავრცელებული პრაქტიკაა სპეციალურად სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სპეციალური ვებგვერდების შექმნა.

ბოლო მნიშვნელოვანი მიგნება, რომელიც სამაგიდე კვლევამ გამოავლინა არის ის, რომ აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული ეფექტური რეაგირების მექანიზმი სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევებზე. გარდა გასაჩივრების ცხადი პროცედურების არსებობისა, ის უდნა ითვალისწინებდეს მსხვერპლების მხარდაჭერას, მოძალადის მიმართ სანქციების გამოყენების შესაძლებლობას და აღნიშნული შემთხვევების აღრიცხვას პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების დაცვით. საერთაშორისო რეგულაციები და პრაქტიკა ცალკე გამოყოფს ასევე ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა და ეფექტური რეაგირების მექანიზმების შექმნის აუცილებლობას, რაც პირველ რიგში ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ამისთვის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას გულისხმობს.

რეკომენდაციები

1. შეიქმნას სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და პროცედურები;
2. შეიქმნას სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციისა და რეაგირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
3. შემუშავდეს სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტისა და პროცედურების ეფექტური განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;
4. შეიქმნას საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამა სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის თემაზე;
5. შემუშავდეს ეთიკის კოდექსი მწვრთნელებისათვის;

6. განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მიმართული იქნება სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევების ეფექტურ გადამისამართებაზე შესაბამის უწყებებთან;
7. განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის, ასევე სპორტში ქალების მონაწილეობისა და გენდერული თანასწორობის თემებზე;
8. მწვრთნელების გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში შევიდეს გენდერული თანასწორობის, სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის საკითხები;
9. სპორტში ბავშვების სექსუალური ძალადობისგან დაცვის მიზნით შეიქმნას პროგრამები/ინიციატივები, რომელიც ასევე მიმართული იქნება მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციასა და პრევენციულ ღონისძიებებში მათ აქტიურ ჩართვაზე;
10. შეიქმნას სპორტში ბავშვების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შემუშავების პროცესშიც ჩართვებიან ბავშვის უფლებებზე მომუშავე ექსპერტები;
11. სპორტულმა ფედერაციებმა/ასოციციებმა მოახდინონ ეთიკის კოდექსის, სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის მიზნით შექმნილი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოთხოვნების ეფექტური აღსრულება;
12. შეიქმნას სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა;